შპს „ოპიზარი“-ის ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შინაარსი

სრული შემოსავლის ანგარიშგება 3

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 4

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 6

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება..... 7

კონსოლდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები..... 9

შპს „ოპიზარი"

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის

(ლარი)

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	6	9 249 783	7 608 556
თვითღირებულება	7	(5 695 745)	(4 704 985)
მოგება		**3 554 038**	**2 903 571**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1 256 959)	(840 873)
საოპერაციო მოგება/ზარალი		**2 297 079**	**2 062 698**
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	9	(134 080)	(188)
არასაოპერციო შემოსავალი	10	210 812	22 080
არასაოპერციო ხარჯი	10	(2 925)	(26)
ფინანსური ხარჯი (საპროცენტო ხარჯი)	11	(130 498)	0
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		**2 240 388**	**2 084 565**
მოგების გადასახადი		(88 235)	(96 594)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		***2 152 153***	***1 987 971***
სულ გაერთიანებული შემოსავალი/ზარჯი			

ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ გრიგოლ ჯიქია

შპს „ოპიზარი"

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

აქტივები	*შენიშვნები*			
გრძელვადიანი აქტივები		***2020***	***2019***	***2018***
ძირითადი საშუალებები	**12**	1 426 494	671 302	252 322
არამატერიალური აქტივები		-	699	826
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		3 042 515	800 000	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		**4 469 009**	**1 472 001**	**253 149**
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	13	53 659	32 263	78 032
სავაჭრო მოთხოვნები	**14**	797 609.05	125 107	30 687
სხვა აქტივები	**15**	409 200	-	-
საგადასახადო აქტივი	**16**	-		
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	**17**	205 539	68 385	-
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	18	397 328	674 281	585 896
სულ მიმდინარე აქტივები		**1 863 335**	**900 036**	**694 616**
სულ აქტივები		**6 332 344**	**2 372 037**	**947 764**
კაპიტალი და რეზერვები				
საწესდებო კაპიტალი	**19**	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება	19	4 227 000	2 372 037	931 435
სულ კაპიტალი		**4 227 000**	**2 372 037**	**931 435**

ვალდებულებები

მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	20	65 748.80	-	16 329
სხვა ვალდებულებები	21	12 102	-	-
მიღებული ავანსები	22	-	-	-
საგადასახადო ვალდებულება	23	125 589	-	-
ბანკის სესხები	24	1 902 476	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**2 105 916**	**-**	**16 329**
სულ ვალდებულებები		**2 105 916**	**-**	**16 329**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**6 332 916**	**2 372 037**	**947 764**

ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ გრიგოლ ჯიქია

შპს „ოპიზარი"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის

(ლარი)

ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	**-**	**931 435**	**931 435**
დივიდენდები	-	(547 368)	**(547 368)**
წლის მთლიანი სრული მოგება		1 987 971	**1 987 971**
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	**-**	**2 372 037**	**2 372 037**
დივიდენდები		**(500 000)**	**(500 000)**
წლის მთლიანი სრული მოგება		2 152 153	**2 152 153**
კონსოლიდაციის კორექტირება		202 810	**202 810**
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	**-**	**4 227 000**	**4 227 000**

შპს „ოპიზარი"

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის

	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		
მოგება დაბეგვრამდე	2 240 388	2 084 565
ცვეთა და ამორტიზაცია	118 948	51 920
ზარალი/(მოგება) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-134080	188
შემცირება/ზრდა სასაქონლო მატერიალური ფასეულობაში	(21 396)	45 769
შემცირება/ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(1 081 702)	(94 420)
შემცირება/ზრდა გადახდილ ავანსებში	(137 154)	(68 385)
შემცირება/ზრდა საგადასახადო აქტივებში	-	-
შემცირება/ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	77 851	(16 329)
შემცირება/ზრდა მიღებულ ავანსებში	-	-
შემცირება/ზრდა გადასახდელ გადასახადებში	125 589	-
ფულადი სახსრები ოპერაციებიდან	**1 188 444**	**2 003 307**
მოგების გადასახადი	(88 235)	(96 594)
წმინდა ფულის შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან	**1 100 209**	**1 906 713**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	(2 242 515)	(800 000)
შემცირება/ზრდა ძირითად საშუალებებში	(636 245)	(470 900)
შემცირება/ზრდა არამატერიალურ აქტივებში	127	127
შემცირება/ზრდა ძირითად საშუალებების გადაფასების რეზერვში		
წმინდა ფული (გამოყენებული)/მოპოვებული საინვესტიციო საქმიანობიდან	**(2 878 632)**	**(1 270 773)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხი	1 902 476	-
გადახდილი დივიდენდი	(500 000)	(547 368)
კორექტირება კონსოლიდაციის სასტარტო ნაშთში	(35 085)	
ცვლილება წმინდა მოგებაში		

წმინდა ფულის (გასვლა)/შემოსვლა ფინანსური საქმიანობიდან	**1 367 391**	**(547 368)**
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულზე და ფულის ექვივალენტებზე	134 080	(188)
კონსოლიდაციის სასტარტო ნაშთის კორექტირება	-	
წმინდა ფულის ზრდა	**(276 952)**	**88 384**
ფული და ფული ექვივალენტები წლის დასაწყისში	674 281	585 896
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	**397 328**	**674 281**

შპს "ოპიზარი"-ი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის

(ლარი)

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "ოპიზარი" (შემდგომში კომპანია) შექმნილია "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და წარმოადგენს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 14.07..2014 წელს რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 400122381; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ხანძთელის ქ.N1; ფაქტობრივი მისამართი: ქ. ბათუმი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი ქსნის ქ. N42. წესდების მიხედვით საზოგადოების საქმიანობის ძირითად პროფილს წარმოადგენს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესრულება..

ფინანსური ანგარიშგების შედგენის მომენტისათვის კომპანიის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელია გრიგოლ ჯიქია (პ/ნ 01024017224).

08.09.2020 წლის საჯარო რეესტრიდან ამონაწერის თანახმად შპს „ოპიზარი" გახდა 7.5%-ის წილის მფლობელი შპს „ჰერეთი ინტერნაციონალ"-ში (ს/ნ 2265215546), ხოლო 01.12.2020.წლის საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად შპს „ოპიზარი" შპს „ჰერეთი ინტერნაციონალ"-ის"-ის 80%-იანი დამფუძნებელ-პარტნიორი გახდა 2020 წლის 1 დეკემბერს.

წილის ნასყიდობის ღირებულებამ შადგინა **2 115 515.0** ლარი. მათ შორის ბენიამინ ჩიხლაძისგან წილის შეძენის ღირებულებამ შეადგინა **476 025,0** ლარი და გიორგი ორთოიძისაგან **1 641 490** ლარი.

შენიშვნა 2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდატრების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული მსს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის

საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში მსს ფასს-ები) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს მსს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ჯგუფი აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ლარში მსს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ასევე კომპანიის მენეჯმენტისაგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. მონაცემები დამრგვალებულია ლარამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საქმიანობის უწყვეტობა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში, როგორც მე-27 შენიშვნაშია მოცემული.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

• აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;

• იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და

• შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

• კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაბნევასთან შედარებით;

• კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციული ხმის უფლებები;

• სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და

• ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანის ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შეთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი საღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის საღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

საწარმოთა გაერთიანება

საწარმოთა შეძენას ჯგუფი აღრიცხავს შეძენის მეთოდის საფუძველზე. საწარმოთა გაერთიანებაში გადაცემული კომპენსაციას ჯგუფი აფასებს რეალური ღირებულებით, რომელიც გამოითვლება როგორც შეძენის თარიღით შეფასებული შემდეგი რეალური ღირებულებების ჯამი: მყიდველი საწარმოს მიერ გადაცემული აქტივების, შეძენილი საწარმოს ყოფილი მესაკუთრეების მიმართ მყიდველი საწარმოს მიერ აღებული ვალდებულებებისა და მყიდველი საწარმოს მიერ გამოშვებული სააქციო წილის. საწარმოთა

გაერთიანებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება მოგებასა და ზარალში იმ პერიოდში როდესაც გაწეული იყო ეს დანახარჯები.

შეძენის თარიღისათვის ჯგუფი აფასებს შეძენელ იდენტიფიცირებად აქტივებსა და აღებულ ვალდებულებებს რეალური ღირებულებით, გარდა შემდეგისა:

- გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, ასევე, დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოებიდან წარმოქმნილი ვალდებულება და აქტივები აღიარდება და ფასდება ბასს 12-ისა და ბასს 19-ის შესაბამისად; - ვალდებულება ან წილობრივი ინსტრუმენტი, რომელიც დაკავშირებულია შეძენილი საწარმოს წილობრივი გადახდის ჯილდოების გაცვლასთან მყიდველი საწარმოს წილობრივი გადახდის ჯილდოებზე, აღირიცხება ფასს 2 „წილობრივი გადახდა"-ს მიხედვით; და - აქტივები, რომელიც კლასიფიცირდება როგორც გასაყიდად გამიზნული, აღირიცხება ფასს 5 „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები"-ს შესაბამისად.

გუდვილი ფასდება როგორც სხვაობა შემდეგი მაჩვენებლებისა: გადაცემული კომპენსაცია, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილი შეძენილ საწარმოში, შეძენილ საწარმოში ჯგუფის მიერ ადრე კუთვნილი სააქციო წილის შეძენის თარიღისათვის შეფასებული რეალური ღირებულება, და შეძენილ იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების შეძენის თარიღისათვის წმინდა ღირებულებას შორის. თუ, შეფასების შემდგომ, შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების წმინდა ღირებულება აღემატება გადაცემულ კომპენსაციას, ნებისმიერი არამაკონტროლებელ წილს შეძენილ საწარმოში და შეძენილ საწარმოში ჯგუფის მიერ ადრე კუთვნილი სააქციო წილის შეძენის თარიღისათვის შეფასებულ რეალურ ღირებულებას, მაშინ ნამეტი უნდა აღიარდეს მაშინვე მოგებასა და ზარალში როგორც შეძენიდან მიღებული მოგება.

<u>შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა</u>

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ფასს მსს მე-11 განყოფილების მიხედვით კლასიფიცირდება როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა და ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. ჯგუფი განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა და ზარალში

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული

ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავლით ან ზარალით, რომელიც აღიარდება მოგება-ზარალში.

ჯგუფს არ გააჩნია ვაჭრობისთვის გამიზნული აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა და ზარალში.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

არამწარმოებლური ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრებადი გადასახდელებითა და ფიქსირებული დაფარვის ვადებით კლასიფიცირებულია როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია მისი დაფარვის ვადამდე შენარჩუნების სურვილი და შესაძლებლობა. ჯგუფს არ გააჩნია დაფარვის ვადამდე ფლობილი ივესტიციები.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს არამწამოებლურ ფინანსურ აქტივს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციების დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა და გაცემასთან. შემდეგ კი აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ასეთი აქტივები ჯგუფს არ გააჩნია.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც განიხილება, როგორც გასაყიდად არსებული, ან არ კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით; სესხები და მოთხოვნები; დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები. გასაყიდად გამიზნული აქტივები მოიცავს კომპანიის ინვესტიციებს სხვა საწარმოში, რომელიც არ წარმოადგენს მის შვილობილ კომპანიას, მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოს. გასაყიდად გამიზნული აქტივები აღიარდება რეალური ღირებულებით, რეალურ ღირებულებასთან დაკავშირებული ცვლილება აღაირდება მოგება-ზარალში გროვდება როგორც გასაყიდად გამიზნული აქტივის რეზერვი. მიმდინარე პერიოდში ჯგუფს არ გააჩნია გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები.

როდესაც გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების შემცირება აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში და არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ აქტივი გაუფასურდა, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული აკუმულირებული ზარალი ამოღებულ უნდა იქნეს საკუთარი კაპიტალიდან და უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში, როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფინანსური აქტივის აღიარება შეწყვეტილი არ იყო.

გასაყიდად განკუთვნილი ფინანსური აქტივების შეძენა და რეალიზაცია აღიარდება ოპერაციის ანაზღაურების დღეს ტრანზაქციის მოხდენის დღესა და თანხის უშუალო გადახდის დღეს შორის აქტივის რეალური ღირებულების ცვლილების აღიარებით

გასაყიდად გამიზნულ რეზერვებში. რეალიზაციისას, აკუმულირებული მოგება ან ზარალი, აღიარებული სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რეკლასიფიცირდება გასაყიდად განკუთვნილი რეზერვიდან მოგება–ზარალში.

ფინანსური ინსტუმენტები მათი კლასიფიკაციის მიხედვით წარმოდგენილია რეალური ღირებულებით, თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ქვემოთაა აღწერილი:

რეალური ღირებულება განისაზღვრება როგორც ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემისას ჩვეულებრივი ოპერაციისას ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისათვის. რეალური ღირებულება არის მიმდინარე შეთავაზებული ღირებულება ფინანსური აქტივებისათვის ან მიმდინარე მოთხოვნილი ფასი ფინანსური ვალდებულებებისათვის, რომლებიც კოტირებულია აქტიურ ბაზრებზე. ფინანსური ინსტრუმენტი განიხილება როგორც აქტიურ ბაზარზე კოტირებული თუ კოტირებული ფასები შესაძლებელია ადვილად და რეგულარულად მივიღოთ გაცვლით ან სხვა გზით და წარმოადგენს ფაქტიურ ფასს რეგულარულად განხორციელებულ საბაზრო ოპერაციებზე გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

თვითღირებულება არის გადახდილი ფული ან ფულის ექვივალენტი, ან უშუალოდ შეძენის მომენტისთვის აქტივის შესაძენად გაწეული სხვა დანახარჯის რეალური ღირებულება, რაც მოიცავს ოპერაციის დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას გამოკლებული ძირის გადახდები, დამატებული დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის აღნიშნულ ოდენობას აკლდება, ასევე, გაუფასურების ზარალი. დარიცხული პროცენტი მოიცავს ტრანზაქციის ღირებულების ამორტიზაციას, რომელიც გადავადებული იქნა თავდაპირველი აღიარებისას და სხვა ნებისმიერ ზედმეტ ან ნაკლებ გადასახადს ვადის შესაბამისად ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი არ არის ცალკე წარმოდგენილი და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის ღირებულებაში.

ტრანზაქციის ხარჯი მოიცავს დამატებით ხარჯებს, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გაცემას ან გასხვისებას. დამატებითი ხარჯია ისეთი ხარჯი, რომელიც არ იქნებოდა გაწეული თუ ტრანზაქცია არ განხორციელდებოდა. ტრანზაქციის ხარჯი მოიცავს გასამრჯელოებსა და საკომისიოებს, რომლებსაც უხდიან აგენტებს (მათ შორის თანამშრომლებს, რომლებიც მოქმედებენ როგორც გაყიდვების აგნეტები), მრჩეველებს, ბროკერებსა და დილერებს, მარეგულირებელი ორგანოებისა და საფონდო ბირჟის მიერ დაწესებულ ბეგარას, სატრანსფერო გადასახდსა და ვალდებულებებს.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ჯგუფიდან გასვლა;

ან ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც მომწოდებლების მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით შემცირებული ტრანზაქციის ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა, სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულებების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება. ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და ჯგუფს აქვს განზრახვა ზემოთხსნებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფასს მსს-ის მე-11 განყოფილება რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს მსს-ის მე-11 განყოფილება მოითხოვს რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენოს შემდეგი იერარქია:

1. იდენტური აქტივის (ან ანალოგიური აქტივის) კოტირებული ფასი აქტიურ ბაზარზე (1 დონე);

2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისაგან განსხავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე);

3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

ჯგუფის საკუთარი ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია:

სავაჭრო ვალდებულებები, რომელიც წარმოშობილია ადგილობრივი მომწოდებლებისაგან მიღებული საქონლის და მომსახურებიდან,

სხვა მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები.

ფინანსური ვალდებულებები შეფასებულია რეალური ღირებულებით. ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულებულია

ჯგუფს არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად ისინი არაა წარმოდგენილი ფასს მსს მე-11 განყოფილების მიხედვით რეალური ღირებულების იერარაქიულად შეფასების პრინციპით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება ფასდება ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. კაპიტალიზდება მნიშვნელოვანი ნაწილების გამოცვლის ხარჯები, ხოლო გამოცვლილი ნაწილის ღირებულებები ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენებად ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის. როდესაც მიმდინარე ღირებულება გადააჭარბებს განსაზღვრულ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში. წინა პერიოდებში ძირითადი საშუალებების გაუფასურებით მიღებული ზარალი გადაიხედება, თუ შეიცვლება ვარაუდები, რომელიც გამოყენებულ იქნა ძირითადი

საშუალებების გამოყენებადი ღირებულების ან რეალურ ღირებულებას გამოკლებული სარეალიზაციო ღირებულების განსასაზღვრავად.
გაყიდვით გამოწვეული მოგება და დანაკარგი, რომელიც განისაზღვრება საბალანსო ღირებულების სანაცვლო ღირებულებასთან შედარებით, აღიარდება მიმდინარე წლის მოგება-ზარალში.
ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება ისტორიული ღირებულებით (თვითღირებულებით), რომელიც მოიცავს აქტივების შეძენასთან და ექსპლუატაციაში გადაცემასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. ექსპლუატაციაში გადაცემის შემდგომი ხარჯებიდან მისი ის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას და ამასთან შესაძლებელია მისი ღირებულების რეალურად შეფასება, აღირიცხება ცალკე აქტივად ან ემატება უკვე მოქმედი აქტივის ღირებულებას. ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღიარებულია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა.
ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია ცვეთის წრფივი მეთოდით. ცვეთის ნორმები გაანგარიშებულია ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადებიდან გამომდინარე.

შესაბამისად, ძირითადი საშუალებები დაჯგუფებულია და შეესაბამება ცვეთის ნორმები შემდეგ დიაპაზონში:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	ცვეთის %
I შენობა- ნაგებობები	5
11 მანქანა- დანადგარები	30-20
III კომპიუტერული, ელექტრონული და სამშნებლო მოწყობილობა	30-20
IV ავეჯი და სხვა ინვენტარი	20

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 5 წელი.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და ამ მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისაგან (ტრანსპორტირება და დასაწყობება). მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა ჯგუფს უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების (გამოყენებულის და ნაშთად არსებულის) ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივი, რომელიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისაგან, დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როცა გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნებში.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში (მე-8 შენიშვნა). მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში,

რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. „კომპანიის" მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სრული შემოსავლის ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებითი ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის დებიტორული ან კრედიტორული დავალიანების ნაწილში.

წმინდა საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით.

ამიტომ „ჯგუფი" თითოეული სამეურნეო სუბიექტის ყველა საგადასახადო დავალიანებასა

და მოთხოვნასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

ჯგუფი მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

ჯგუფი არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და

შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები: ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ; მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში;

შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;

შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

საზოგადოების მიერ შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

ჯგუფის შემოსავლები მოიცავს:

ჯგუფის საკუთრებაში არსებული ფართის იჯარით მიღებული საოპერაციო შემოსავლები;
სამშენებლო-სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოებიდან მიღებული საოპერაციო შემოსავლები;

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა და ვალდებულებების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.
ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისაგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმს.
ჯგუფში ხარჯების აღიარების კრიტერიუმები შეესაბამება ფასს მსს-ის მოთხოვნებს.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. ჯგუფი ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი.
სავაჭრო ვალდებულება საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით. ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ჯგუფი მიღებულ სესხებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი.

მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წამოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა

შემთხვევაში მოთხოვნები წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური მოთხოვნები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით, საეჭვო და უიმედო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხების გამოკლებით.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები (ტრანზაქციები)

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს (“ფუნქციური ვალუტა”). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს კაპიტალში ინვესტიციების ჩათვლით. ფასიანი ქაღალდების გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული რეალური ღირებულების ცვლის ეფექტი აღიარდება როგორც რეალური ცვლილებისას მიღებული შემოსავლის ან ხარჯის ნაწილი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2020, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისათვის არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	3,2766	4,0233
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	2,8677	3,2095
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	2,6766	3,0701

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოდან გასვლა. ვალდებულების წარმომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვით ჯგუფმა უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებისაგან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის ზეპირი);
- კანონმდებლობა ; ან
- სხვა კანონიერი ქმედება

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება ჯგუფის ქმედებებისაგან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით ჯგუფი სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხსიმგებლობას; და

- შედეგად ჯგუფი აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

ტერმინი "პირობითი ვალდებულება" გამოიყენება ვალდებულებებისათვის რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.

სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

- ანარიცხები, რომლებიც აღიარდება როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება). რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარავად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა; და

- პირობითი ვალდებულებები, რომლებიც არ აღიარდება როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:

- შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებელი, გააჩნია თუ არა ჯგუფს მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლას; ან

- მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა ან შეუძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია აისახება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისაგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია.

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისად შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როცა შეფასების ცვლილება მოხდა.

ტერმინი "პირობითი ვალდებულება" გამოიყენება ვალდებულებებისათვის რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.

სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

- ანარიცხები, რომლებიც აღიარდება როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება). რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარავად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა; და

- პირობითი ვალდებულებები, რომლებიც არ აღიარდება როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:

- შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებელი, გააჩნია თუ არა ჯგუფს მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლას; ან

- მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა ან შეუძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია აისახება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისაგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია.

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისად შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როცა შეფასების ცვლილება მოხდა.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

იჯარა

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანასური ანგარიშგების შესახებ შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

შენიშვნა 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით. ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ჯგუფი აქტივიდან სარგებლის მიღებას. კომპანიის მენეჯმენტი სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება.

სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

შენიშვნა 5. ფასს მსს-ზე გადასვლის განმარტება

როგორც მე-2 შენიშვნაშია ნათქვამი, ჯგუფი ამზადებს ანგარიშგებას ფასს მსს-ის მოთხოვნების შესაბამისად.

მე-2 შენიშვნაში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკები გამოყენებულ იქნა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. ასევე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესადარისი ფინანსური ინფორმაციისათვის.

ჯგუფი მსს ფასს-ების მიხედვით კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას არ დაუკორექტირებია არაფერი, იქიდან გამომდინარე, რომ მსს ფასს-ზე გადასვლა არ ახდენს გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შენიშვნა 6. შემოსავალი

	2020 წ.	**2019 წ.**
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	9 079 232	7 608 556
შემოსავალი გაყიდული პროდუქციიდან	170 551	0
სულ საოპერაციო შემოსავალი	**9 249 783**	**7 608 556**

შენიშვნა 7. თვითღირებულება

	2020 წ.	2019წ.
ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა	(3 047 153)	(2 552 334)
დამხმარე მასალების დანახარჯები	0	0
პირდაპირი ხელფასი	(941 219)	(719 540)
რემონტის დანახარჯები	(3 221)	(826)
ობიექტის ოფისის აღჭურვილობა ხარჯები	(8 972)	0
სხვა საოპერაციო ხარჯები	(1 575 197)	(1 372 924)
ობიექტის კომუნალური ხარჯები	(8 436)	(7 091)
მიწოდების ხარჯები	(8 719)	(350)
ცვეთა და ამორტიზაცია	**(102 829)**	**(51 920)**
სულ:	**(5 695 745)**	**(4 704 985)**

შენიშვნა 8. ადმინისტრაციული ხარჯები

	2020 წ.	2019 წ.
შრომის ანაზღაურება	(859 888)	(580 063)
ოფისის საწვავი	(106 523)	(115 496)
საიჯარო ქირა	(92 461)	(62 696)
საოფისე ინვენტარი	(11 323)	(9 177)
კომუნიკაციის ხარჯები	(7 883)	(8 233)
კომუნალური ხარჯი	(10 909)	0
დაზღვევა	0	(648)
რემონტი	(49 712)	(32 088)
კომპიუტერის ხარჯები	(6 523)	(1 001)
საკონსულტაციო ხარჯები	0	(7 516)
საგადასახადო და სხვა ხარჯი	(13 400)	(3 450)
არაგამოქვითვადი ხარჯები	(505)	(385)
ამორტიზაცია	(16 119)	
სხვა საერთო ხარჯი	(81 715)	(20 120)
სულ	**(1 256 960)**	**(840 873)**

შენიშვნა 9. მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან

	2020 წ.	**2019 წ.**
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი	(134 080)	(188)
სულ	**(134 080)**	**(188)**

შენიშვნა 10. არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

	2020 წ.	**2019 წ.**
არასაოპერციო შემოსავალ		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	210 812	22 080
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	**210 812**	**22 080**
არასაოპერაციო ხარჯები		
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(2 925)	(26)
სულ არასაოპერაციო ხარჯი	**(2 925)**	**(26)**

შენიშვნა 11. ფინანსური შემოსავალი/ ხარჯი

	2020 წ.	2019 წ.
ფინანსური ხარჯი (საპროცენტო ხარჯი)	(130 498)	-
სულ წმინდა ფინანსური შემოსავალი/ხარჯი	**(130 498)**	

შენიშვნა 12. ძირითადი საშუალებები

	შენობა - ნაგებობა	მანქანა-დანადგარები 2150	ოფისის აღჭურვილობა 2160	ავეჯი და სხვა ინვენტარი 2170.2171	რკინის ნაკეთობები, კონტეინერები და სენდვიჩები 2181	სულ აქტივები
ისტორიული ღირებულება						
31/12/2018		**161 710**	**27 710**	**79 063**	**78 936**	**347 419**
შემოსვლა		178 095	13 004	2 500	277 174	**470 773**
გასვლა/ჩამოწერა		(9 562)	(5 786)	(305)	(424)	**(16 077)**
31/12/2019	0	**330 243**	**34 928**	**81 258**	**355 686**	**802 115**
შემოსვლა	768 424	85 784	10 326	8 968	3 436	**876 938**
გასვლა/ჩამოწერა		(4 909)	(6 531)	-	(6 500)	**(17 940)**
31/12/2020	**768 424**	**411 118**	**38 723**	**90 226**	**352 622**	**1 661 112**
დაგროვილი ცვეთა						
31/12/2018		**(29 716)**	**(10 691)**	**(27 789)**	**(26 901)**	**(95 097)**
პერიოდის ცვეთა		(25 518)	(8 945)	(9 171)	(8 159)	(51 793)
გასვლა/ჩამოწერა		9 562	5 786	305	424	16 077
31/12/2019	-	**(45 672)**	**(13 850)**	**(36 655)**	**(34 636)**	**(130 813)**
პერიოდის ცვეთა	(15 167)	(44 874)	(10 783)	(12 017)	(35 979)	(118 820)
გასვლა/ჩამოწერა		4 909	6 531	-	3 575	15 015
31/12/2020	**(15 167)**	**(85 637)**	**(18 102)**	**(48 672)**	**(67 040)**	**(234 618)**
საბალანსო ღირებულება						
ბალანსი 31/12/2018	-	**131 994**	**17 019**	**51 274**	**52 035**	**252 322**
ბალანსი 31/12/2019	-	**284 571**	**21 078**	**44 603**	**321 050**	**671 302**

ბალანსი 31/12/2020	753 256	325 481	20 621	41 554	285 582	1 426 494

შენიშვნა 13. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	2020წ.	2019წ.
ნედლეული და მასალები	53 659	32 263
საწვავი	118 948	0
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	0	0
სულ მარაგები	**172 607**	**32 263**

შენიშვნა 14. სავაჭრო მოთხოვნები

	2020წ.	2019წ.
სავაჭრო მოთხოვნები	797 609	125 107
სულ სავაჭრო მოთხოვნები	**797 609**	**125 107**

შენიშვნა 15. სხვა აქტივები

	2020წ.	*2019წ.*
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	409 200	0
	-	
სულ სხვა აქტივები	**409 200**	**0**

შენიშვნა. 16. საგადასახადო აქტივი

	2020წ.	*2019წ.*
საგადასახადო აქტივი	-	-
სულ საგადასახადო აქტივი	-	-

შენიშვნა. 17. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

	2020წ.	*2019წ.*
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	205 539	68 385

სულ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	**205 539**	**68 385**

შენიშვნა 18. ფულადი სახსრები და ექვივალენტები

	2020 წ.	***2019წ.***
ნაღდი ფული სალაროში	7 799	7 799
GE35TB7060936080100008 - მიმდინარე ანგარიში	46 707	3 868
GE21TB7060936050100003 - შპს ბურჯი (შეკვეთილი)	0	29 974
GE48TB7060936050100002 - სახელფასო ანგარიში	2 226	293
GE64TB7060936050100005	1	0
GE37TB7060936050100006	2 582	0
GE81CR0120009501083605 - ქ. თბილისი, სს "ბანკი ქართუ"	0	0
GE22TB7060936150100001 მიმდინარე **usd**	0	4
GE89TB7060945067800003 - ბიზნეს ვიზა	1	1
GE5CR0120009501083615/USD - ქ. თბილისი, სს "ბანკი ქართუ"	0	0
GE89TB7060945067800003 - ბიზნეს ვიზა	0	103
GE92TB7000609365500001 - ქ. თბილისი, სს "თიბისი ბანკი"	100 000	600 000
GE62TB7060945067800004	0	0
GE19TB7532545061100009	121	682
სხვა ფულადი საშუალებები	113 581	31 557
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე -- ბანკი ქართუ GE26CR0000000020313602	22 872	0
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე -- თიბისი ბანკი GE34TB7037736120100009	101 422	0

აშშ დოლარები ადგილობრივ ბანკებში-- ბანკი ქართუ GE47CR0000000020313612 (USD)	16	0
სულ ფულადი სახსრები და ექვივალენტები	**397 328**	**674 281**

შენიშვნა 19. კაპიტალი

	2020წ.	**2019 წ,**
საწესდებოკაპიტალი	-	
გაუნაწილებელი მოგება	4 227 000	2 372 037
სულ კაპიტალი	**4 227 000**	**2 372 037**

შენიშვნა 20 .სავაჭრო ვალდებულებები

	2020 წ.	**2019 წ.**
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	65 749	-
სულ სავაჭრო ვალდებულებები	**65 749**	**0**

შენიშვნა 21 . სხვა ვალდებულებები

	2020 წ.	***2019წ.***
სხვა ვალდებულებები	12 102	
სულ სხვა ვალდებულებები	**12 102**	

შენიშვნა 22. მიღებული ავანსები

	2020 წ.	**2019წ.**
მყიდველებისაგან მიღებული ავანსები	-	-
სულ მიღებული ავანსები	-	-

შენიშვნა 23. საგადასახადო ვალდებულება

	2020 წ,	**2019 წ.**

საგადასახადოვალდებულება	125 589	-
სულსაგადასახადოვალდებულება	**125 589**	**0**

შენიშვნა 25. სესხები

	2020 წ.	**2019წ.**
მოგლვადიანი სესხები	1 902 476	
სულსესხები:	**1 902 476**	

შენიშვნა 26. პირობითი გარემოებები

პოლიტიკური გარემო და რეგულაცია

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს ხელისუფლების მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

სასამართლო დავები

ჯგუფს ანგარიშგების მომზადების მომენტისათვის სასამართლო დავები არ აქვს

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

გარემოს დაცვითი საკითხები

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები,

რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება. საგადასახადო და მარეგულირებელ კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. სანამ კომპანია მიიღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ პოზიციაზე.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთანაა დაკავშირებული. ბოლო წლებში განხორციელებული ეს ცვლილებები გარკვეულწილად ნიადაგის შემამზადებელი ხასიათისაა და მომავალში მეტი ცვლილებაა მოსალოდნელი ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად.
ჯგუფი არ სარგებლობს სადაზღვევო მომსახურებით.

შენიშვნა 27 ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ ჯგუფს პროგნოზირებად მომავალში არ გააჩნია ლიკვიდაციის ან საქმიანობის მასშტაბების არსებითად შემცირების სურვილი.

შენიშვნა 28. ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ჯგუფს 2018-2020 წლებში არ აქვს ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები, რაც უნდა აისახოს ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

შენიშვნა 29. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ფასს მსს 33-ე განყოფილებაში "დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები", წარმოადგენს:

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი სათავო საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობების არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

		31.12.2019
მენეჯმენტის ხელფასი		**181 141.26**
დირექტორი		181 141.26

		31.12.2020 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (ლარში)
შემოსავალი	ურთიერთობა	**552 545.97**
შპს „ჰერეთი ინტერნეიშელ“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	552 545,97
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		**6 452 530**
შპს ჰერეთი ინტერნეიშელ“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	552 545 497
მენეჯმენტის ხელფასი		**322 660**
დირექტორი		322 660

შენიშვნა 30. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი გარემოებები (მოვლენები)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი ანალიზი „საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები“ მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე.

ზემოხსენებული სტანდარტების მოთხოვნაა, რომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი) ასახავდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არსებულ მდგომარეობას. 2019 წლის 31 დეკემბერს ჩინეთმა გააფრთხილა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია იმის თაობაზე, რომ ქ. უჰანში გამოვლინდა უჩვეულო ფორმის პნევმონიის რამდენიმე შემთხვევა. თუმცა, მხოლოდ 2020 წლის დასაწყისში გამოჩნდა არსებითი ინფორმაცია იმის თაობაზე, რაც ამჟამად უკვე იდენტიფიცირებულია, როგორც კორონავირუსი. პანდემიის შედეგეგებს არსებითი გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის საქმიანობაზე.

2021 წელს გამოცხადებულია და გაცემულია ჯგუფის წმინდა მოგებიდან დივიდენდი **499 999.93** ლარის ოდენობით.

შენიშვნა 31. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2021 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი

გრიგოლ ჯიქია